



№ 3

სამართლიანობის მანიფესტი

ხელისუფლების უპირველესი კონსტიტუციური მოვალეობაა, უზრუნველყოს ადამიანისათვის ბუნებით ბოძებული სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების დაცვა, შეუქმნას მოქალაქებს ადამიანური არსებობის პირობები. ხელისუფლება, რომელიც ამას ვერ (ან არ) აკეთებს, საკუთარ თავს აყენებს კონსტიტუციის გარეთ.

„არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობა“ - ეს არის სახელმწიფოში შინაგანი საზოგადოებრივი, ჰქომარიტი მშვიდობის დამკვიდრების უპირველესი და აუცილებელი მოთხოვნა. სამართლიანობის შევრჩების გარეშე, მოქალაქე ვერ იქნება კანონმორჩილი, სახელმწიფოს მიერ დასახული ამოცანების რეალიზებაზე ორიენტირებული; სახელმწიფოს ინტერესების ერთგული და განხორციელებისათვის მოტივირებული.

უსამართლო გარემოში ყველა პარტიას, ყველა ხელისუფალს თავისი სიმართლე აქვს, ყველა მართლია - ხალხი კი დასჯილია და ქვეყანა ინგრევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ რამდენიმე წელია ვითხოვთ დამოუკიდებელ საქართველოში განვითარებული ნებატიური პროცესების გამოძიებას, დამანგრეველი ძალების რეალურ გამოვლენას და მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.

ღრმადგვწამს, რომ 1991-92, 2003, 2007, 2008 წლების; 7 ნოემბრის, 8 აგვისტოს, 26 მაისის პერიპეტიების სამართლებრივი შესწავლა შექმნის სახელმწიფოში სამართლიანობის დადგენის პროცესის დაწყების კარგ პრეცედენტს.

ჩვენ ვსაუბროთ არა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენაზე, არამედ, და უპირველესად, სამართლიანობის დაგენერაზე. რადგან პირველი, მეორის მცირე ხაწილია. ჩვენთვის სამართლიანობა - ეს არის ღირსებადადებული ქვეყანა, ღირსებადადებული ადამიანი, ღირსებადადებული ენა, ღირსებადადებული ეროვნული ცნობიერება, ღირსებადადებული მიწა, ღირსებადადებული ეროვნული სიმდიდრე და ის ხელისუფლება, რომელიც ამისთვის იძრდება... ხელისუფლება, რომლისთვისაც ადამიანი არის მიზანი და სხვა კველაფერი საშუალება ამ მიზნის მისაღწვად. ხელისუფლება, რომელიც

ქვეყანაში ქმნის კონკურენტულ გარემოს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ ადამიანი იყოს დაცული. ხელისუფლება, რომელსაც არ აქვს თავისი ხალხის ვალი, ან თუ აქვს, იმის ღირსებაც ვააჩნია, ვადასახადის მოთხოვნამდე, ვალის დაბრუნების პირობები მაიც შესთავაზოს ხალხს.

სამართლიანობა არის მაშინ, როცა ადამიანები იძრდებიან არა არსებობისათვის, როგორც ეს დღეს არის საქართველოში, არამედ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობის რეალიაციისათვის, როგორც ესარის რეალური დემოკრატიის ქვეყნებში.

„სამართლიანობის მანიფესტში“ ჩამოყალიბებული საკითხები არის უპირველესად მოსაგვარებელი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე და გადაუდებლად გადასაწყვეტი

1. მომავალი წლის პირველი იანვრიდან -
 - პენსია;
 - მინიმალური ხელფასი;
 - ლტოლვილთა შემწეობა;
 - უმუშევართა შემწეობა;
 - სტიპენდია

გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს. საარსებო მინიმუმი განისაზღვროს დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ მსოფლიოში მიღებული პრინციპების საფუძველზე;

2. დადგინდეს, რომ სახელმწიფობიუკეტიდან და სახელმწიფო დაწესებულებებში გასაცემი მაქსიმალური ხელფასი არ შეიძლება იყოს მინიმალურზე (მათ შორის პენსიაზე) 20-ჯერ მეტი;

3. მოხდეს პოლიტკატიმრების უპირობო განთავისუფლება;

4. მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის აუცილებელ მოთხოვნებად განისაზღვროს:

- განათლების და ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტული დაფინანსება;
- სტუდენტის მიერ სწავლისათვის გადასახდელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს სწავლის ღირებულების 10%-ს;
- საბაზო ბალების სრული სახელმწიფო დაფინანსება კონტინგენტის ლიმიტირების გარეშე;
- მოსახლეობის სრული და საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა;
- სოფლის მეურნეობისათვის საქართველოს ბიუჯეტის მინიმუმ 10%-ის გამოყოფა;
- მცირე ბიზნესისა და დასაქმების

პროგრამებისათვის საქართველოს ბიუჯეტის 10%-ის გამოყოფა.

5. აღიარებული იქნას საკუთრების ხელშეუხებლობა. მოხდეს წარომეული ქონების უპირობოდ დაბრუნება.

6. საზოგადოებრივი ტელევიზიადაუბრუნდეს საზოგადოებას, ტელეკომპანია „იმედი“ - მის ნამდვილ მეპატრონეს.

7. ახალი კონსტიტუციის მიღებამდე შეჩერდეს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებზე ლიცენზიების გაცემა და სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაცია, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის საკუთრებაში გადაცემა.

8. ყოველთვიურად გამოქვეყნდეს ყველა დონის (სახელმწიფო, მხარე, ქალაქი, რაიონი) ბრუჯეტში შესული თანხების მოცულობა, წყაროები და სრული ინფორმაცია მათი ხარჯების შესახებ.

9. ექსპერტთა მონაწილეობით (პარიტეტულ პრინციპებზე) შესწავლილი იქნას: პურზე, შაქარზე, საერთოდ პირველადი მოხმარების საკებ პროდუქტებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, მედიკამენტებზე, ტრანსპორტზე, სატელეფონო მომსახურებაზე, საწვაზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე დაწესებული ფასების საფუძველიანობა. (ზედაპირული ანალიზითაც ჩანს, რომ ზრდა ხელონურია და რეალური კონკურენციის პირობებში, შეიძლება ფასების განახვრება).

10. გაანალიზდეს (ოპოზიციის მონაწილეობით) კომერციულ ბანკებსა და მოსახლეობას შორის წარმოქმნილი პრობლემები და მოხდეს მათი დარგულირება სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

11. გაანალიზდეს საბაზო სესხების არსებული საკრედიტო განაკვეთები, ზრდის რეალური ფაქტორები. სახელმწიფო კვრობული გამოცდილებით უზრუნველყოს იაფი კრედიტის პრობლემის გადაწყვეტა.

12. გამოქვეყნდეს ყოფილი პრემიერ მინისტრის ზურაბ გვანიას სიკედილის გამოძიების შედეგები.

13. შეიქმნას (პარიტეტულ პრინციპებზე) გახმაურებულ „ქუჩის მკვლელობათ“ საქმეების შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისია.

14. თანამდებობიდან იქნეს გადაყენებული და მიცემული პასუხისმგებაში ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც დაკავშირებულია ქუჩის მკვლელობებთან.

15. თანამდებობიდან იქნას გადაყენებული ყველა ის პირი, რომლიც მონაწილეობდა

ეპლესიების ნერგასა და მრევლის დარბევაში (მიუხედავ მათი კონფესიური კუთვნილებისა).

16. გაიხსნას და საჯარო გახდეს 2003 წლის შემდგომ დაფუძნებული სახელისუფლებო ფონდები, მათ შორის: პრეზიდენტისა, პრემიერ- მინისტრისა, მინისტრებისა, გუბერნატორებისა, მერებისა და გამგებლებისა.

17. ახალი კონსტიტუციის მიღებამდე შეჩერებული იქნას 2004 წლის დასაწყისში მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების მოქმედება.

18. გამოქვეყნდეს სუკ – ის აგენტების სიები.

19. საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის მიხედვით გამოქვეყნდეს სიები იმ ობიექტებისა, რომელთა კუთილმწყობისათვის დაიხარჯა 50 000 ლარზე მეტი (უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში).

20. გამოქვეყნდეს, როგორც მთელი ქვეყნის, ასევე ქალაქებისა და რაიონების მიხედვით სახელმწიფო მოხელეებზე გაცემული ხელფასების, პრემიებისა და სამიღლინებო თანხების მოცულობა (უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში).

21. გამოქვეყნდეს სახელმწიფო დაწესებულებების შეკეთების, კეთილმოწყობის, სატელეფონო, სატრანსპორტო მომსახურების თანხების მოცულობები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

22. გამოქვეყნდეს 1992 წლიდან მიღებული უცხოური დახმარებების ჩამონათვალი და ინფორმაცია მათი ხარჯვისა და განწილების შესახებ.

23. გაანალიზდეს მექარმეთა – იურიდიული და ფიზიკურპირთა მიერ სასამართლო ორგანოებში შეტანილ სარჩელებზე გამოტანილი განაჩენები და შედეგები გამოქვეყნდეს პრესაში.

24. ხელისუფლების, ოპოზიციის, პოლიტიკური ძალების, არასამთავრობო სექტორის, მედიის, საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნას კომისია, რომელიც მოაწყობს შეხვედრებს უცხოეთში წასულ საქართველოს მოქალაქებთან მათი უფლებების დაცვის მდგრადი მიზნით და შესაბამისი ქვეყნების ხელისუფლებებთან კავშირში იძრძოლებს მათვის მინიმუმის შემდეგის შექმნისთვის, როგორიც ჩვენს ქვეყანაში აქვთ ამ ქვეყნების მოქალაქეებს.

25. პრეზიდენტმა შეასრულოს მისი წინასარჩევნო დაპირება პენსიების სტაჟისა და დამსახურების მიხედვით განსაზღვრის თაობაზე და აღადგინოს ყველა ის შეღავთა, რომლებიც გაპრეზიდენტების შემდგომ გააუქმა და ამის თაობაზე არ პქონია გამოცხადებული წინასარჩევნო პრიორიტეტი.

მოცემული დოკუმენტი თავდაპირველად, მომზადდა სახელწოდებით „სამართლიანობის მანიფესტი“. მიხეილ საკაშვილის ტირანულმა რეჟიმმა დაგვანახა აუცილებლობა - მანიფესტის ტონი შეგვეცვალა მოთხოვნით და მას უწოდეთ „დირსების ულტიმატუმი“.

ამ დოკუმენტის შექმნით დაიწყო პარტია „თეთრების“ პოლიტიკური მოღვაწეობა 2009 წლის 7 აპრილს. იმავე წლის 23 ნოემბერს „ვარდების რევოლუციის“ 6 წლისთვის ის წარედგინა საკაშვილის ხელისუფლებას შესასრულებლად.

ნაციონალური მოძრაობის ნეოფაშისტურმა სახელმწიფო მანქანამ, პირადად მიხეილ საკაშვილმა ყურად არ იღო „დირსების

ულტიმატუმში“ ჩამოყალიბებული სასი-ცოცხლო მნიშვნელობის საკითხები, ყურად არ იღო 2 000 ღირსეული ქართველის მოთხოვნა და არათუ შეასრულა ის, პასუხის ღირსადაც არ სცნო პოლიტიკური და არასამთვრობო ორგანიზაციების, საქვეყნოდ ცნობილი არაერთი მეცნიერის, ხელოვანისა და სპორტსმენის 2 000 ხელისმოწერით განმტკიცებული ულტიმატუმი.

აქ აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გავუსათ ერთ გარემოებას: „სამართლიანობის მანიფესტში“ არც ერთი მოთხოვნა არ არის, რომელიც სცდება ჩვენი კონსტიტუციის, ან ზოგადად სამართლებრივი სახელმწიფოს საყოველთაოდ აღიარებულ ფარგლებს. მეტიც, თავად მიხეილ საკაშვილი 1997 წლიდან, ანუ სახელმწიფოს სადაცებთან მისვლის პერიოდიდან მათ შესასრულებლად ელემენტარულსაც კი უწოდებდა. თავად არც ერთი არ შეასრულა, რითაც თავი კანონზე მაღლა, კონსტიტუციის გარეთ დააყენა.

ჩვენი პოზიცია კონკრეტულია: პასუხის მოეთხოვოს მიხეილ საკაშვილის რეუიმს აღნიშნულის შეუსრულებლობისათვის, ხოლო ახალმა მთავრობამ მიიღოს საჭირო ზომები 2014 წლიდან მათი განხორციელებისათვის. სწორედ ამიტომ ეს დოკუმენტი შესრულების თხოვნით გაეგზავნა საქართველოს პრემიერ მინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს და საქართველოს მთავარ პროკურორის ბატონ არჩილ კბილაშვილს, ყოფილ ხელისუფლებასა და მიხეილ საკაშვილზე პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით.

აპრილი 2013 წელი

თეიმურაზ შაშიაშვილი - პარტიის თავმჯდომარე. გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს პოლიტიკური მეცნიერებათა აკადემიის წვერი;

ზურაბ ხასია - პარტიის გენერალური მდივანი. ღირსების ორდენის კავალერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;

„თეთრების“ პოლიტიკური საბჭოს წვერი: რობერტ ბაბლიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიონალი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ზურაბ ბარათაშვილი - ექიმი, ეროვნული აკადემიის წვერი;

ინგრა იამანიძე - ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს პედაგოგიური მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საუცოდის სკოლის დამფუძნებელი;

ზურ კალანდია - პოლიტიკური;

ინგა კაპანაძე - ექიმი;

ფერდინანდ ლორთქითანიძე - ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, „ქართველოს სიური მისის“ თანათვამჯდომარე, რუსეთის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის წვერი, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენცილოპედიო-საგამომცემლო ფონდის „ენციკლოპედია“ – ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ჩოხისანთა საზოგადოების უზუცესთა საბჭოს წვერი;

პამლეჭ მელაძე - მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, უნივერსიტეტის პროფესიონალი;

შალვა წიგლიშვილი - პოლიტიკური, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის EGFМ-ის გერმანული სექციის წვერი, ეროვნული მოძრაობის ვეტერანი;

შზია ჯვუშია – წვერი იურისტი, ადვოკატი მერაბ ჯიბლაძე – ფიზიკოსი, ფიზ-იკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიონალი;

შოთა ჯიქია – „თეთრების“ ახალგაზრდული ფრთის წვერი, „თეთრების“ წარმომადგენელი თურქეთში;

ნინო ქუთათელაძე – პოლიტიკური ბარაბაშვილი – იურისტი,

ავთანდილ ბარაბაშვილი – იურისტი, პოლიციის პოლკოვნიკი, შეს ვეტერანი;

რაულ სვანაძე – პოლიციის პოლკოვნიკი, შეს ვეტერანი;

გიორგი სიხარულიძე – პარტიის ანალიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელი;

სიმონ შარაძე – სარევიზო კომისიის თავმჯდომარე;

ირინე ჯიბლაძე – პარტიის საერთო საქმეთა კორდინატორი;

P.S. პოლიტიკური პარტია „თეთრების“ პოლიტიკური საბჭო მაღლიერებით აღნიშნავს რომ პარტიის მიერ შედგენილ „ღირსების ულტიმატუმს“ 2009 წლის 23 ნოემბერს „ვერის ბაღში“, ეროვნული გმირის მერაბ კოსტაგას ძეგლი მოაწერს:

დიმიტრი ფიფანის საზოგადოებამ, თავისუფლებისა და მშვიდობის ფონდმა,

პარტიებმა – „ჩვენი საქართველო – თავისუფლი დემოკრატები“, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ კონსერვატორები, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“, საქართველოსქრისტიან-ულ-დემოკრაიული კავშირი, ქალთა პარტია, პარტია „ჩემი საქართველო“, მოძრაობა „გადაგრძინების სიცოცხლე“, „თბილისელი დემოკრატია“, მოძრაობა „7 ნოემბერი“, ორგანიზაცია „რატომ?!“, სახალხო მოძრაობა „საქართველოს გადარჩენისათვის“, „საზოგადოებრივი ექსპერტიზის დაბაზმა“...

პროფესიონებმა, მეცნიერების წარმომადგენებმა: თემურ გუგუშვილმა, გია ჭუბაძირიამ, ოთარ ქორდანიამ, რეზო ბალანჩივაძემ, პამლეჭ მელაძემ, გიგა ბათიაშვილმა, სულხან ქემოკლიძე, დემურ ბაშელეგიშვილმა, დავით გოცირიძემ, გივი თალაკაძემ, მარიამ ცაცანაშვილმა, თბილისელი გამართვილება...

ხელოვნებისა და მედიის წარმომადგენებმა:

დიმა ჯაიანმა, რეზო ესაძემ, ლევან ლვინჯილიამ, არჩილ გოგელიამ, მამუკა ლლონტმა, მალხაზ გულაშვილმა, ჯაბა ხუბუამ, მამუკა ვაშაკიძემ, რუსლან რუსიამ... უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა:

მანუ